სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080170109428719

№ 5274

26 / დეკემბერი / 2019 წ.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2019 წლის 24 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ SMP190005051 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს 2020 წელს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის რეალიზებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელებას (CPV-85300000 - სოციალური დახმარების სამსახური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), ღირებულებით - 294600 ლარი. აღნიშნული ღონისძიებები გულისხმობს „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ „კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტით“ გათვალისწინებულ მომსახურებას, „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულ მომსახურებასა და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულ მომსახურებას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ „კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტით“ გათვალისწინებული მომსახურება გულისხმობს ბენეფიციართა ოპერაციის შემდგომ, პერიოდულად, უზრუნველყოფას კოხლეარული იმპლანტით და იმ პირების უზრუნველყოფა სათანადო მომსახურებით (იმპლანტის მორგება-რეგულირება), რომლებსაც წინა წლების შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული „კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში ჩატარებული აქვთ კოხლეარული იმპლანტაცია. „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურება გულისხმობს საქართველოში მცხოვრები ყრუ პირების უზრუნველყოფას სურდოთარჯიმნის მომსახურებით, ხოლო „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურება - 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასა და ინტეგრაციას. ჩამოთვლილი ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების (საქონლის) შესყიდვა წარმოებს საქართველოს მთავრობის მიერ კონკრეტული წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შემდგომ. შესაბამისად, შეუძლებელია წინასწარ იქნეს განსაზღვრული, თუ კონკრეტულად როდის მოხდება 2020 წლის პროგრამის დამტკიცება (მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს დადგენილების დამტკიცების წინამოსამზადებელი სამუშაოები).

როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვიდან ირკვევა, ელექტრონული ტენდერ(ებ)ის გამოცხადება სათანადო შესყიდვების განსახორციელებლად შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შემდგომ, ვინაიდან ტექნიკური დავალების (ქვეპროგრამის/კომპონენტის ფარგლებში გასაწევი მომსახურების ჩამონათვალის) ფორმირება ხდება სახელწიფო პროგრამით კონკრეტულად განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად. ამასთან, მიმდინარე ეტაპზე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ არ არის ცნობილი, თუ რა სახით დამტკიცდება სახელმწიფო პროგრამა და რა ღონისძიებათა განხორციელება დაევალება მას საქართველოს მთავრობისაგან ახალი (2020 წლის) პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში“ მონაწილეთა განსაზღვრა ხდება უშუალოდ მთავრობის დადგენილებით, ვინაიდან მობილური ჯგუფებით მომსახურება წარმოადგენს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ერთ-ერთ საფეხურს და შესაბამისი კონტინგენტის განთავსება დღის ცენტრებში და მათი შემდგომი უზრუნველყოფა ხდება იმავე ორგანიზაციების (მიმწოდებლების) მიერ. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მომსახურების შემდგომი საფეხურები ფინანსდება ვაუჩერის მეშვეობით და არა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვის საშუალებებით. ამდენად, მოცემული საფუძვლით შესყიდვის განუხორციელებლობა ხელს შეუშლის შესყიდვ(ებ)ის განხორციელებას და, შესაბამისად, სათანადო ღონისძიებების უწყვეტად ჩატარებას.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს 2020 წელს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის რეალიზებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც გულისხმობს „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ „კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტით“ გათვალისწინებულ მომსახურებას, „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულ მომსახურებასა და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულ მომსახურებას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ზემოხსენებული შესყიდვის ობიექტების შესასყიდად სატენდერო პროცედურების განხორციელება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, განსახორციელებელი შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის, რადგან ელექტრონული ტენდერ(ებ)ის გამოცხადება სათანადო შესყიდვების განსახორციელებლად შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შემდგომ, ვინაიდან ტექნიკური დავალების (ქვეპროგრამის/ კომპონენტის ფარგლებში გასაწევი მომსახურების ჩამონათვალის) ფორმირება ხდება სახელწიფო პროგრამით კონკრეტულად განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად. ამასთან, მიმდინარე ეტაპზე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ არ არის ცნობილი, თუ რა სახით დამტკიცდება სახელმწიფო პროგრამა და რა ღონისძიებათა განხორციელება დაევალება მას საქართველოს მთავრობისაგან ახალი (2020 წლის) პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში“ მონაწილეთა განსაზღვრა ხდება უშუალოდ მთავრობის დადგენილებით, ვინაიდან მობილური ჯგუფებით მომსახურება წარმოადგენს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ერთ-ერთ საფეხურს და შესაბამისი კონტინგენტის განთავსება დღის ცენტრებში და მათი შემდგომი უზრუნველყოფა ხდება იმავე ორგანიზაციების (მიმწოდებლების) მიერ. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მომსახურების შემდგომი საფეხურები ფინანსდება ვაუჩერის მეშვეობით და არა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვის საშუალებებით.

სააგენტო განმარტავს, რომ საკითხის მასშტაბურობიდან, სირთულიდან და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი

დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ SMP190005051 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე